საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

1479-01-02-2-202010221358

N 01-02/1479
22/10/2020

№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარეს სალომე როდონაიას

ქალბატონო სალომე,

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, შემოვიდა ა(ა)იპ-ის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" საჩივრები ფოტომასალასთან ერთად (ცესკოში რეგისტრაციის №4616; №4618; №4624), რომლებიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაძლო დარღვევის ფაქტებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჩივარში მითითებულ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შემდგენ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

შესაბამისად, გიგზავნით ზემოაღნიშნულ საჩივრებს და გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლოთ და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

დანართი: 21 ფურცლად

პატივისცემით,

თამარ ჟვანია

კომისიის თავმჯდომარე

დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 138, 0131, თბილისი, საქართველო

www.cesko.ge

(995 32) 2 510051

ISFED
25 წელი

21/10/20
№ 20/1-071

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

7 ოქტომბერს, 15:02 სთ.-ზე, ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ლელა ჩიჩუამ გააზიარა ფოთი-ხობი-სენაკის ოლქში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ირაკლი ხახუბიას პოსტი, რომელიც კანდიდატის წინასაარჩევნო აქტივობას ასახავს. (იხ. დანართები - ფეისბუქ-პოსტის სქრინები).

აღსანიშნავია, რომ ლელა ჩიჩუა სისტემატიურად აზიარებს ამ კანდიდატის აქტივობებს. ასევე, პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატის აგიტაცია, წარმოადგენს მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის - პარტიის აგიტაციასაც. ამ შემთხვევაში, აგიტაციას „ქართული ოცნების" სასარგებლოდ, რადგან კანდიდატი იდენტიფიცირებულია წარმდგენ პარტიასთან. გაზიარებულ მასალებში - ფოტოებში, ვიდეოებში კი ჩანს პარტიის სიმბოლიკა, საიმიჯო ფერები, სახელი და საარჩევნო ნომერიც.

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

თ) საჯარო მოხელეებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

წინასაარჩევნო აგიტაციას განსაზღვრავს საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო აგიტაცია არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის კანდიდატის არჩევას. შესაბამისად, ფეისბუქ-გვერდზე ინფორმაციის გავრცელება, გაზიარება, წარმოადგენს წინასაარჩევნო აგიტაციის ერთ-ერთ თანამედროვე სახეს, რომელიც სულ უფრო აქტიურად მკვიდრდება, სოციალური ქსელების პოპულარობის ზრდის კვალდაკვალ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2014 წლის 11 აპრილს გაცემული რეკომენდაციის თანახმად, აგიტაციად მიიჩნევა არა მხოლოდ წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, არამედ საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მხარდასაჭერად მიმართული ქმედება (სიტყვით ან წერილობით მოწოდება) სოციალურ ქსელებში. კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს რეკომენდაციით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, საჯარო სამსახურებში დასაქმებულებმა უფრო მაღალი

№ 4624 7 ფ.
21 10 2020 წ.
17 საათი 10 წუთი

სტანდარტის დამკვიდრების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნიდან დაიცვან საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.[1]

განსახილველ საქმეებში საუბარია, არა ზოგადად, აგიტაციაზე, არამედ აგიტაციის სამუშაო დროს გაწევის ფაქტზე, რაც აკრძალულია კანონით. საჩივარში დასახელებულ სუბიექტს არ ეკრძალება იქონიოს პოლიტიკური შეხედულებები და უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე კანდიდატს, მაგრამ, ეკრძალება საკუთარი პოლიტიკური პრეფერენციების გამოვლენა და საარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათებში, სამსახურისთვის განკუთვნილ დროს.

ლელა ჩიჩუას თანამდებობა არ მიეკუთვნება საარჩევნო კოდექსით დადგენილ იმ თანამდებობების ჩამონათვალს, რომელთაც აგიტაციაში მონაწილეობის უფლება შეუზღუდავად აქვთ.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა საჯარო სამსახურია. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის უპარტიო. კერძოდ, ამ კანონის მე-15 მუხლი ეხება საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს, საჯარო სამსახურში, სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის არ უნდა გამოიყენებოდეს, ასევე, საჯარო სამსახურში მყოფს უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. ასევე, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებისა და აგიტაციის უფლებამოსილების შეზღუდვა გამომდინარეობს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებიდან, რაც საჯარო სამსახურში დასაქმებულებს (გარდა პოლიტიკური და სახელწმიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ავალდებულებს დაიცვან მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი. ასევე ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის თანახმად, რომელიც სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ზღვრის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს, პარტიული საქმიანობა არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოს საქმიანობასთან.[2]

---

[1] იხ. უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია:
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Frekomendaciebi%2F13.08.2018.%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1.pdf

[2] იხ. ინფორმაცია:http://www.osce.org/odihr/elections/14304?download=tr

ის დრო, რომელიც განკუთვნილია საჯარო მოვალეობების შესასრულებლად, საერთო სარგებლობის საქმეთა საკეთებლად, არ არის პირადი დრო, და ამ პერიოდის ანუ სამუშაო საათების განმავლობაში პირი შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ კანონით მასზე დაკისრებული რეგულირებებით. ეს დრო, თანამშრომლის მიერ კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად, არის განკუთვნილი, რისთვისაც მოხელე ხელფასს იღებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში მოხელე დაკავებული უნდა იყოს მოქალაქეთა მომსახურებით და არა პოლიტიკური პროპაგანდით. ამ კუთხით, პრობლემა ის კი არაა, რომ ღელა ჩიჩუა კონკრეტულ კანდიდატს უჭერს მხარს, არამედ ის რომ წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებისთვის იყენებს საჯარო სამსახურის დროს და რესურსებს, რა დროსაც მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობებს უნდა ასრულებდეს.

ასევე, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებაში 2020 წლის 31 აგვისტოს შევიდა ცვლილება და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად განისაზღვრა, რომ: „საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კომუნიკაციის საშუალებებით, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, ისეთი ქმედებებისაგან, განცხადებებისაგან ან/და სოციალური აქტივობისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად."

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ" პუნქტის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეა – პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. შესაბამისად, საჯარო მოხელე საჯარო მოსამსახურის ერთ-ერთი კატეგორიაა.

კანონის დარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირება არის მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან არიდების და პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. წინამდებარე საჩივარში განხილული ქმედების რეაგირების გარეშე დატოვება, კი, შესაძლოა, აღქმულ იქნეს როგორც ნებართვა მსგავს ქმედებებზე.

სოციალური მედია და განსაკუთრებით „ფეისბუქი" წარმოადგენს წინასაარჩევნო აგიტაციის, კანდიდატების რეკლამირების, თუ ამომრჩეველზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვან პლატფორმას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ადეკვატურად უნდა შეაფასოს კანონდარღვევის დაუსჯელად დატოვების გამო მოსალოდნელი საფრთხეები და კანონის მოთხოვნების მიხედვით მოახდინოს სათანადო რეაგირება.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 79-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელიც გამოიწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგიწოდებთ ფაქტზე დაადგინოთ დარღვევა და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

დანართი 1 - ფეისბუქ-პოსტის სქრინები (3 ფურცლად).

პატივისცემით,

ელენე ნიჟარაძე

ე. ნიჟარაძე

Lela Chichua
7 October at 15:02

#ირაკლიხახუბია🖤

ირაკლი ხახუბია / Irakli Khakhubia 18 August 2016 at 09:35

რეკასა და ძველი ხენაკის ადმინისტრაციული ერთეულის მეორე ნოსირის, აგრეთვე ქალაქის მეორე საარჩევნო უბნისა და სამხედრო ქალაქის ამომრჩევლებს მეხვდი.
ხენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს განახლების პროცესი, თუმცა გვაქვს გამოწვევებიც.
ხენაკის მუნიციპალიტეტი ბოლო წლებში გამოირჩევა იმით, რომ აქ შესამჩნევია თვისებრივი ნინსვლა და ხორციელდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მასშტაბური ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები.
ჩვენი პოლიტიკური გუნდი ერთადერთია, რომელსაც რეალურად სურს ქვეყნის განვითარება და შეუძლია უხელმძღვანელოს ამ პროცესს.

Like Comment Share

Lela Chichua

1 Oct at 13:57 •

ირაკლი ხახუბია / Irakli Khakhubia

1 Oct at 13:17 •

სახელმწიფო არასდროს დადგომია ადამიანებს გვერდით ისე, როგორც დღეს. ჯანდაცვის სფერო განსაკუთრებით არის მოსაწონი. პირველ რიგში ადამიანის სიცოცხლეა მთავარი, - რამაზ კოხია, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ბენეფიციარი.
#ერთადსაქართველოსწარმატებისთვის

7

279K Views

Lela Chichua
22 Sep at 18:00 ·

ირაკლი ხახუბია / Irakli Khakhubia
22 Sep at 17:52 ·

ფოთში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა სრულდება. ბოლო წლების განმავლობაში, ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით არაერთი პროექტი განვახორციელეთ, თუმცა სპორტული კომპლექსი უდაოდ გამორჩეულია. ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ასევე, კომპლექსი ქალაქს შესაძლებლობას აძლევს, უმასპინძლოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებსა და სპორტულ ღონისძიებებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის სპორტის მიმართულებით ფოთში არსებული ტრადიციების განვითარებისთვის.

#ერთადსაქართველოსწარმატებისთვის

19

3 shares

Like Comment Share